№ 267 30 დეკემბერი, შაბათი 1866—1878 30 დეკემბერი, შაბათი № 267

რედაქცია: ს[illegible]ლაზე, ბალის (ბალოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში № 33.

კანტორა რედაქციისა: იქვე, სადაც იმეფება რედაქცია.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дрозба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთისთვისა—1 მან.

უოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულ, რუსულ, სომხურ და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., ახალ-მოაყოლილი ტროქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცალეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. **დაუბეჭდელი** სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ 1879 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲮᲐᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲬᲓᲘᲛᲓᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ—მიიღება **„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ"** რედაქციაში (ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლებში, № 33).

ᲒᲐᲠᲔᲨᲔ მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисѣ. Въ Редакцію газ. „Дрозба".*

Აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოთ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

მთელის წლისა — — — — — — — — — —	8 მან.
ნახევარის წლისა— — — — — — — — —	5 „
სამის თვისა — — — — — — — — — —	3 „
ერთის თვისა — — — — — — — — — —	1 „

მხოლოთ ამ ეადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ᲮᲔᲓᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ; უფულოთ გაზეთი არაევის არ გაეგზავნება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲣᲨ. ᲘᲐᲜᲝᲒᲡᲙᲘᲡ

თქვენ ხართ ახალი მზრუნველი ქაოკასიის სამასწავლებლო მაზრისა; თქვენ ხართ გამგე და წამმართველი ჩვენი ქვეყნის განათლების საქმისა; ოთხი მილიონის ხალხის განათლების საქმე მოგანდოთ თქვენ უმაღლესმა მთავრობამ.

ჩვენზე ნაკლებათ არ უნდა გესმოდესთ თქვენ—თუ რა დიდი, რა მძიმე მოვალეობა გიკისრნიათ.

აქ, ჩვენში, ქაოკასიაში, სადაც სხვა-და-სხვა გვარ-ტომის ხალხი ცხოვრებს, სადაც ხალხის განათლების საქმე დღემდინ ასე უთავებოლოთ, ასე ცუდათ და ასე უხეიროთ მიდიოდა, სადაც ხალხს ნამდვილი, ღირსეული პედაგოგი ჯერ ორიც არ უნახავს, აქ ეს მოვალეობა ბევრად უფრო ძნელი და სამძიმოა, ვიდრე სადმე შუაგულ რუსეთის გუბერნიაში.

იქ რუსები ცხოვრებენ, რუსული ენა სამშობლო ენაა იქაურის ხალხისათვის; ამ ენაზედ არის იქ სწავლა.

აქ კი დღემდინ მუდამ და ყველგან ირღვეეოდა პედაგოგიის უპირველესი ჭეშმარიტება, რომ ყმაწვილმა თავის სამშობლო ენაზე, გასაგებ ენაზედ უნდა მიიღოს პირველ-დაწყებითი სწავლაო. სხვა, გარეშე მიზეზებმა, სრულებით არა-პედაგოგიურ მიზეზებმა და გარემოებამ დააეიწყებინა, გაათელვინა ფეხ-ქვეშ ჩვენს პედაგოგებს ეს პედაგოგიური ჭეშმარიტება.

თქვენგან მოველით ახლა ამ ჭეშმარიტების აღდგინებას. თქვენგან ველით იმის მკვიდრ საფუძველზედ დამყარებას.

თქვენგან მოელის ქვეყანა ყველა გარეშე მიზეზთა და გარემოებათა მიტოვებასა და ნამდვილს პედაგოგიურს გზაზე დაყენებას ჩვენი ხალხის განათლებისას.

თქვენგან მოელის ეს მდიდარი, ეს ჩინებული ქვეყანა ხელმძღვანელობას იმ საქმეში, რომელიც ყოველი ხალხისათვის წარმატების გზაზე დამყენებელი საქმეა, რომლისათვისაც თვითონ ეს ხალხი არაფერს არ ზოგავს.

ამბობენ, რომ აქ მოსელამდინ, პეტერბურღშიეე, ცდილობდით თქვენ გაგეცნოთ ჩვენი განათლების მსელელობის საქმე და ამ მიზნით წაიკითხეთ ყველაფერი, რაც ოფიციალურად და არაოფიციალურად არის საგანზედაწერილიო.

თუ ეს მართალია, დარწმუნებული

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲡᲐᲣᲕᲔᲓᲣᲠᲘ

პირველ ყოველის მოგაგონებ
შენს ცხოვრებას წმინდას, წასულს...
არ დაეფარაე!... დაგალონებ
და ეაშფოთებ ამით შენს გულს!

—

მახსოეს, ოდეს ცხრა კლიტულში
შენ სცხოვრებდი დედოფლურად?...
ხიმბინე გდევ მაგ კლდე გულში
და ეერ გპოვეს მათ უძლურად?..

—

ᲘᲕ ᲓᲠᲝᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲨᲝᲔᲜᲐ

ბევრს უნდოდა ანგარიშით,
მაგრამ ეერ ეინ დაგიმონა
ვერც შეცდენით, ეერცა შიშით!

—

სხვა-და-სხვა ტომის პირებსა
არ ჩაუგდე თავი ხელში,
ბულით მტრედს და სულით ბრძენსა
ვინ გჩაგრაედა ამ სოფელში?!..

—

თავ-შეხვეულ შენს მოტრფიალს
უგზავნიდი ხშირ შერცხვენას,
არ დასდეედი შენ მისსა გულს
და არც არას იმის წყენას!!...

—

მხოლოდ ერთი მე გიყვარდი!...
ჩემიც გსურდა სიყვარული!...
შენ ჰყვეოდი, ეითა ეარდი,
მეც გეტრფოდი, ეით ბულბული!...

—

მაგრამ ბოლოს მიღალატე
ულოდნელად, დიაცურად!...
ბულში ცეცხლი მოგმიმატე,
გამაშმაგე არ-კაცურად!!..

—

მოხიბლულმა, ეითა ჩერო,
მე დამაგდე ცოცხალ-მკედარი
და ხომ გახსოვს, მშვენიერო,
თუ მე მაშინ რა გითხარი?

—

„ნუ სტყუელები, თავის მტერო!...
„მე მაგდებ და სხვასთან მიხვალ?
„მაგრამ დღეს კი, ბედნიერო,
„რით არ ჰფიქრობ, რა ველის ხვედ-
ლ

—

ვართ, რომ ამ წაკითხულიდამ კარგ შთაბეჭდილებას ვერ ამოიტანდით. უბრალო ციფრები სხვა-და-სხვა სასწავლებლებში მოსწავლეთა და კურს-შესრულებულ შაგირდებისა დაგაოწყებდათ თქვენ, რომ სწავლის საქმე ჩვენში რიგიანათ არ უნდა მიდიოდეს.

თქვენ ნახავდით, და ამაში აქ უფრო ცხადათ დარწმუნდებით, რომ ჩვენს ხალხს სწავლა სწყურიან, რომ თვით ჩვენი უბრალო გლეხიც უკანასკნელ პერანგს არ დაზოგავს, ოღონდ კი დაინახოს, რომ იმის შვილს რამე სასარგებლოს და ცხოვრებაში გამოსადეგს ასწავლიან.

თქვენ ნაინახავდით და დაინახავთ, რომ ჩვენის ხალხისთვის ნიჭი და გონება, სხვებზე მომეტებული თუ არა, ნაკლები არ მიუცია ბუნებას; მაგრამ სწავლაში მაინც კიდევ არ არიან წარმატებულნი!

რატომ?

მაიცანით აქაური პედაგოგები, გაიცანით აქაური სწავლების წესი და პროგრამმა და მაშინ მიხვდებით.

თქვენ დაინახავდით და დაინახავთ, რომ ჩვენი სასწავლებლების პირველ კლასებში ასობით ხედან სწავლის მოსურე შაგირდები; მაგრამ მესამე და მეოთხე კლასსში ამის მეოთხედი აღარ არიან და კურსს კი მეათედი, მეოცედიც ვერ ათავებს.

რატომ?

მაიცანით აქაური პედაგოგები, გაიცანით აქაური სწავლების წესი და პროგრამმა და მაშინ მიხვდებით.

თქვენ დაინახავთ, რომ ძალიან ხშირად ჩვენებური ავაზაკები, კაცის-მკვლელები და ქურდები არიან ისეთი პირები, რომელნიც გიმნაზიის მეორე და მესამე კლასიდამ გამოსულან.

რატომ?

მაიცანით ჩვენი პედაგოგები და იმათი პროგრამმა და მაშინ თქვენ თითონ მიხვდებით ამის მიზეზს.

თქვენ მოსულხართ უცნობს ქვეყანაში. მაშასადამე შესაძლებელია, რომ თქვენ დაუგდოთ ყური და დაუჯეროთ ისეთ პირებს, რომელნიც თქვენზე ადრე მოსულან აქ, რომელთაც თქვენზე უფრო დიდხანს უცხოვრიათ კავკასიაში და რომელთაც, თქვენის ჰაზრით, უკეთ უნდა იცოდნენ აქაური ხალხიც და განათლების საქმეც

ჩვენი რჩევა ის არის. რომ ამგვარ პირთ ნურაფერს დაუჯერებთ. თქვენ თვითონვე ეცადეთ—ყველაფერი დაინახოთ საკუთარის თვალითა და გაიცნოთ საკუთარის გონებითა.

ეს არის ჩვენი უკანასკნელი სიტყვა და სალამი.

ჩვენი ნატვრაც ს იყოს, რომ ნეტავ გამართლებულიყოს ყველაფერი ის, რაც თქვენზე კარგი, მოუდგომლობა, საქმის ბეჯითობა და პატიოსნურ საქმეში გამოცდილება გვესმის...

ს. ვ.

დღიური

* * * ჩვენ შევიტყეთ, რომ ბათუმის, აჭარისა და ძაბულეთის მაზრებიდამ ორ-ათი კაცი დეპუტატი გაგზავნა თურმე ხალხმა სტამბოლში იმ განზრახვით, რომ სთხოვონ ხონთქარ, რადგან ოსმალეთში გადმოსახლება გვ ურს, დასახლებელი ადგილი აგვიჩინეთო.

ამბობენ, ხონთქარმა დიდის პატივისცემითა და ალერსით მიიღო ეს დეპუტაცია; ნახევარი ამათგანი მკერეა ზიაში გაგზავნა (დიარბეკირისაკენ) ადგილების დასახედავად და ნახევარიც ამჟამად სტამბოლში იმყოფებიანო.

თუ ეს იმბავი ნამდვილია, ჩვენ არ გემართებს, მგონია, ასე პირ-ლია შეჩერება—თუ როგორ დაიცლება ხალხისაგან ეს მდიდარი და მშვენიერი ნაწილი საქართველოისა, რომლის შემოერთებას ასე დავხართ.

ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ სხვათა შორის ურიგო არ იქნება, რომ ჩვენც იგივე იარაღი ვიხმაროთ ამ შემთხვევაში ხალხის გასაჩერებლად, რასაც, როგორც ისმის, ოსმალოს მმართველობა ხმარობს: ე. ი. გავგზავნოთ იმ მხარეებში რამდენიმე სანდო, გონიერი პირი, რომელთაც უჭადაგონ ხალხ—თუ რა ბედი მოელისთ იმათ ოსმალეთში გადასახლებით, თუ რა საძაძიმო იქნება იმათთვის სამშობლო ქვეყნის, აშენებული ოჯახისა და სახლ-კარის მიტოვება და სხვ. და სხვ.

სიტყვითაც და განსაკუთრებით საქმით უნდა დავანახოთ და დაუმტკიცოთ იმათ, რომ აქ, თავის ქვეყანაში, ბედნიერად იცხოვრებენ [illegible] ოსმალეთში.

* * * დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ ძუთაისიდამ მიღებულს დეპეშა, რომლიდამაც შეიტყობთ, რომ ამ ქალაქის თავად ამოურჩევიათ უფ. ლუკა ნიკოლოზს ძე ალათინი.

რამდენათაც ჩვენ ვიცნობთ და სხვებისაგან გაგვიგონია, ამაზე უკეთესს პირს ძუთაისი ამჟამად ვერ ამოირჩევდა. ამბობენ, რომ უფ. ალათინი პატიოსანი, მიუდგომელი და მშრომელი კაციაო. სწორეთ ამისთანა კაცი ეჭირება ახლა ძუთაისს, რომლის საზოგადო საქმეები, როგორც გვარწმუნებენ, ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში, ცუდის გამგეობის გამო, ძალიან დახლართული არისო.

* * * უმაღლესის ბრძანებით ქალაქს ბათუმში დაწესდება პორტის უფროსის (კამანდირის) თანამდებობა. როგორც შევიტყეთ, ამ თანამდებობაზე დანიშნულია სენაკის მაზრის ადრინდელი უფროსი უფ. ბერსი.

* * * ბაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ მთავარ სამმართველოს კანცელარიაში არდგენენ პროექტს, რომლის ძალითაც, როგორც ქართლ - კახეთისა და იმერეთის საეკლესიო მამულები გადავიდნენ სახელმწიფო უწყებაში და სამაგიეროთ საეკლესიო უწყებას გადაეჩილი ფული ძალევა მუდამ წელიწადს, ისე ამგვარივე წესი უნდა დაადგინონ სამეგრელოშიაც, ე. ი. სამს უეზდში ძუთაისის გუბერნიისა: ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის.

დღემდინ სამეგრელოს საეკლესიო მამულებსა და ყმებ განაგებდა ცალკე გამგებელი, რომლის ანგარიშით ამ მამულებიდამ ეკკლესიას—13,548 მანეთი ჰქონდა მუდამ წლიური შემოსავალი. ახლა, როდესაც ეს ყმა-მამული ხაზინის ხელში გადავა, ეკკლესიას მუდამ წელიწადს მიეცემა 20,000 მანეთი, და ამას გარდა არხიმანდრიტსა და ზოგიერთს მორნასტრებს დარჩებათ კიდევ საკუთარი ტყე მამულები.

„მონის ფასად დაგიჯდება
„დღევანდელი ეგ ალერსი!..
„ხასისათვის ვინ გიქადებ?..
„რათ არ იცი შენ ეს წესი?!..

—

„ბეერის აღთქმით, დიდის ხერხით
„რომ ჩაგითრევს და შეგაცდენს,
„მერე ზედ შეგდგება ფეხით,
„დაგიმონებს, ცრემლებს გადენს!..

—

„ლეჩაქს მოგხდის, გაგაშიშვლებს,
„ბნგს შეგასმევს, დაგაძინებს,
„ბამოგაზრდის მონად შვილებს
„და თვითონვე შენ დაგცინებს!..

—

„ამ თავითვე იკვლიანე!
„ენდობი გარეულნილს, მაგ ავს

„და მაშინ მეც, გეთაყვანე,
„მსხვერპლად შემოგწირავ ჩემ თავს!!..

—

„მაგრამ, ვაი, ყურს არ მიგდებ,
„მაცდურისაკენ თვალს იშტერებ!.
„მისთვის გულში მწველ ცეცხლს იდებ!..
„მისთვის მხოლოდ გულს აძგერებ!...

—

„მიკვირს! მიკვირს! რათ არ გრცხვენის?
„ჰხედავ, როგორ გიშვერენ თითს?!...
„. . . . . .
„. . . . . .

—

„ეს გითხარი, მაგრამ შენ კი
„ჩემი აღარ დაიჯერე:
„შეიყვარე ის გულ-მანკი,
„ბულიც მისთვის აიძგერე!...

—

„აიძგერე და ეხლა კი
„რაც გირჩია მაშინ, ყველა
„ბაგონდება, ვით არაკი,
„და აღარ გაქვს მაინც შველა!...

—

„მაგრამ იცი, მე რას გირჩევ,
„ვით სნეულსა და ავათმყოფს?
„თუ ორს ჭირში ერთს აირჩევ,
„ბარეულნას ისევ სიკვდილი სჯობს!!...

—

„სხვასაც გირჩევ, მაგრამ თვეზი
„მაგონდება მის ანდაზით
„და სიტყვებსა ეს მიზეზი
„ბულში მიკლავს უხმოდ, ბრაზით!!...

აკაკი

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა ოდესიდამ, სადაც, როგორც მოგეხსენებათ ამ ჟამად არის სამეურნეო კრება (სიეზდი) საბჭრეთ რუსეთის გუბერნიების მემამულეებისა და სადაც ჩვენ ქა სამეურნეო საზოგადოებამაც თავის წარმომადგენელად გაგზავნა ერთი თავის წევრი თ. ზ. ჯორჯაძე:

„ოდეს, 14 ქრისტეშობისთვეს, თ. ზ. ჯორჯაძემ წაუკითხა კერძო კრებას (სექციას) თავისი მოხსენება (დოკლადი) შეშახებ ალეკსანდრიაში ღვინის კეთებისა, რომელმაც ნათლად დაამტკიცა—თუ რა ნაკლულევანება აქვს ალეკსანდრიაში ღვინის კეთებას და ამისთანავე უჩვენა საშუალება ამ ნაკლულევანების მოსპობისა.

„სექციამ თანახმად თ. ჯორჯაძის წინადადებისა, მიიღო გადაწყვეტილება, იშუამდგომლონ მმართველობის წინაშე ალეკსანდრიაში სამეურნეო მოკლების გახსნაზე, აქციზის გადასახადის შემსუბუქებაზედ და გზების გაყვანაზედ. ეს გადაწყვეტილება წარუდგენება კრებას განსახილველად და დასამტკიცებელად.

„თ. ჯორჯაძის სიტყვამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე ასე, რომ კრებაში ისეთი კაცი არავინ დარჩენილა, რომელსაც, იმის სიტყვის გათავების შემდეგ, ხანგრძლივ ტაშის-კვრაში მონაწილეობა არ მიეღოს.“

*** სიღნაღიდამ გვწერენ, რომ ამ მაზრის ფოჩტის გზაზე არისო ერთი ბოგირი, რომელსაც „წიხის ბოგირს“ ეძახიან და რომელზედაც ისეთი ლაფი დგებაო, რომ ხშირად ფოჩტასაც უძნელდება იმაზე გადმოსვლაო. ამ დღეებში ერთ გლეხს ვირი დაეფლო თურმე ამ ბოგორზე და როცა მიეშველა გამოსაყვანად, თვითონაც ჩაითლა და ხილხი რომ არ მიშველებოდა, უეჭველია, დაიღრჩობოდაო.

ალპარის არეულობა

ამ დღეებში ჩამოვიდა ალპარიდამ ერთი იქაური მცხოვრებელი ალი-ალა სირაძე, რომელმასაც გეთანხმა ქვემო-მოყვანილი ამბავი ალპარის არეულობაზედ.

ამ ნაამბობიდამ შეიტყობთ, რომ ალპარლების უკანასკნელს არეულობაში არც პოლიტიკური და არც ძაინც-დამაინც დიდი ყურადღების ღირსი არა ყოფილაარა; ეს ყოფილა ტბრალო შინაური გაგანხეთქილება და უკმაყოფილება, რომელიც რუსის ჯარის მოჩვენებისა-თანავე დაწყნარებულა.

ეი რა გეიამბო ჩვენ ზემოხსენებულ ალი-ალა სირაძემ:

შთავერესი მიზეზი არეულობისა ყოფილა ხალხის ალწერა, რომელსაც ახლენდნენ, მეჯლისის წევრები: რეშიდ-ეფენდი ხაზრეევანიძე, ჟარა-ყადი სულეიმანეფენდი ბერიძე, დურალ-ეფენდი შავაძე და ბადი-ეფენდი შავაძე.

ამათ აუწერიათ მშვიდობით და დაუბრკოლებლივ შემდეგი სოფლები ზედა-ალპარის: ჯორჯომი, ხულა, დიდ-ალპარა, ალმე, ბელლეთი, ლურტა, რიყეთი, სხალთა, ხიხაძირი, ნენია, შურტია, ჩანჩხალო, ნიგაზევრი და შუა-ხევი, სულ 1,500 მოსახლეობენ.

ხალხს არ უნდოდა, რომ ალწერა მომხდარიყო იმიტომ, რომ ამ ალწერის შემდეგ ხარჯის გადახდევინებას მოელოდნენ.

ამის გამო, რაცა ზემოხსენებული 1,500 მოსახლე ალწერეს და სოფ. შუა-ხევს მივიდნენ მეჯლისის წევრები, იმათ გამოუცხადა თურმე ხალხმა, რომ ჩვენ ყველანი ოსმალეთში გადასახლებას ვაპირებთ, უიმისოთაც დალარიბებული და შეწუხებული ვართ ამ უკანასკნელის ომისაგან, და ამიტომ ჩვენ მაგიერათ სთხოვეთ ბათუმის უფროსსო, რომ ალწერა შეაჩერონ და ხარჯი წელს არა გადაგვხდეს-რაო.

მეჯლისის წევრებს პასუხად ეთქვათ, რომ ბათუმიდამ ბრძანება არისო და არ შეიძლებაო.

ამგვარი პასუხი ალპარლებს არაფრად ეპატიებათ თურმე. დაიარაღდნენ რამდენიმე ასი კაცი და შუა-ხევში ჩავიდნენ, სადაც იმ დროს იყვნენ მეჯლისის წევრები. ერთი ამათგანი—ბადირ-ეფენდი გაიქცა. დანარჩენებს ალპარლებმა წაართვეს ალწერის ფურცელი და იქვე დასწვეს. საუბედუროთ, ეს არ დაჯერეს: ორს ამათგანს ბევრი სცემეს...

ამასთანავე ძველა-ალპარაშიაც გაგზავნეს კაცები, ადექითო. აქაც ათასზე მეტი კაცი დაიარაღებულა და წამოსულა ზედა-ალპარისაკენ.

ჩვენი მოამბის სიტყვით, მარტო „ფუხარაი“ (ლარიბი, გლეხი) ხალხი გამოჰყვანდაო, ალიებს და ბეგიებს არ იკარებდნენ თავის შორისო, რადგან ამათ გაგეყიდეს ჩვენაო.

ძველა-ალპარიდამ მომავალ დაიარაღებულ ხალხს შეხვედ გზაზე ბულო-ალა მიქელაძე, შერიფ-ბეგის ხიმშიაშვილის თანაშეწე, რომელმანც შეაჩერა თურმე ცხენი და დაუწყო ხალხს დარიგება, რომ რას სჩადით, რას დაიარაღებულხართ, რუს-ხელმწიფეს თქვენ რას გაუხვალთ, წადით შინ, დამშვიდდითო და სხვ. და სხვ.

ხალხმა უთხრა თურმე, რომ რუსხელმწიფის წინააღმდეგ ჩვენ არა ვვაქვსრა სათქმელიო, ჩვენ მარტო იმას ვეჩივითო, რომ, ბეგიების წყალობით, ალწერას ახდენენ და ახალი ხარჯი უნდა გადაგვხდესო და სხვ.

ამის შემდეგ ბულო-ალა თავის გზას დაადგა და ძველა-ალპარლებმა კი შეჰქონეს ყაყანი და მოლაპარაკება—თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

ერთმა ვილამაც წამოიძახა თურმე, რომ ეგ ბულო-ალა ხომ მეფილისიდამ მოდის, უეჭველია, ის იქიდამ შერიფ-ბეგის ან სხვა ვისმესაგან გამოგზავნილია ჩვენდა არა-სასიკეთოთათო და უნდა მოეკლათო.

ივ წამსვე გაგზავნეს სამოცი კაცი სოფ. ანდალოს ლომან-ალას სახლში, სადაც. ბოლო-ალა მიქელაძე უნდა ჩამომხტარიყო იმ ღამეს.

მივიდნენ თუ არა, სახლის პატრონი გამოიხმეს და სთხოვეს, რომ თქვენი სტუმარი უნდა მოგვცეთო. ლომან-ალა, რასაკვირველია, არ დათანხმდა. გაბრაზებულმა ხალხმა გადმოიღო ოთფი, ესროლეს და იქვე მიაწვინეს. მაგრამ სანამ მოჰკლავდნენ, ლომან-ალამ ერთი ალპარელის მოჰკვლა და ერთის დაჭრაც მოასწროო. ამ გვარადვე მოუკლავთ აგრეთვე მეორე მასპინძელი, ლომან-ალას ძმა.

შემდეგ ჩაუმტვრევიათ კარები, შეცვივნულან ოთახებში, უნახავთ თვითონ ბულო-ალა მიქელაძე, მოუდვიათ გულზე დამბაჩა და მოუკლავთ...

ეს ამბავი, რომ ალპარის მაზრის უფროსს უფ. ნ. მეფილაშვილს შეუტყვია, მოსულა ჩვენს მოამბესთან ალი-ალა სირაძესთან მთაში და აქედამ 40 ყაზახი ოსით წამოსულა საჩქაროთ. სამი დღე და ღამე ბორჯომის მთებზე გაუტარებიათ, რადგან წელამდინ თოვლს მიუსწერია ამათთვის გზაში. ბოლოს როგორც ყოფილა ბორჯომის ხეობაზე გადმასულან, ჩასულან შორაში, უფ. მეფილაშვილი ბათუმში წასულა. ეს კი მეფილისკენ წამოსულ.

ამის მეტი ჩვენს მოამბეს თვითონ ალპარაში არა უნახავს და არა გაუგონიარა.

მხოლოთ შორაში უნახავს იმას ბათუმიდამ მოსულა ხალხი, რომელისაგანაც შეუტყვია, რომ ალპარაში წასული ჯარი უკვე მშვიდობით დაბრუნდა ბათუმში, ერთი თოფიც არ ვაეარდნილა იქ რუსის ჯარისაო, ამ ჟამად სრული მშვიდობიანობა და წესიერება ჰსუფევსო და სხვ. და სხვ.

უცხო ქვეყნები

ინგლისი და ავღანი

დღევანდელს გაზეთში წაიკითხავთ დეპეშას, რომ ავღანის ემირი გაქცეულა რუსეთის სამფლობელოში (თურქისტანში) და იმის ჯარი სამზღვარზედ არისო.

თუ ეს ამბავი გამართლდა, ავღანსა და ინგლისს შუა ომი გათავებულად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში, უეჭველია, ინგლისი დაისაკუთრებს ავღანის სამზღვარზე ზოგიერთ სტრატეგიულ ადგილებსა და ავღანის ტახტზე, როგორც ადრე იწერებოდნენ გაზეთებში, დასვამს ახლანდელი ემირის შერ-ალის შვილს —იაკუბ-ხანს.

—გაზეთს „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა ბერლინიდამ 19 დეკ. მიღებული:

„აქ დაბეჯითებით ამბობენ, ვითომც რუსეთსა და ინგლისს შუა სრული თანხმობა ჩამოვარდაო. ამბობენ, რუსეთმა პირობა მისცა ინგლისსო, რომ როგორც უნდა ისე იმოქმედოს ავღანში, ჩამოართვას ოსმალეთს ალექსანდრეტის ნავსადგური და კვიპრის კუნძული, მაგრამ მაგიერად ინგლისი ნუ გახდება წინააღმდეგი იმისა, რომ სამხრ- [illegible] ოლოლეთი ბოლო- [illegible] სამთავრ

ოსმალეთი

28 ქრისტეშობისთვის, ე. ი. ოსმალების ახალ წელიწად დღეს სულთანს გამოცხადებიან უცხო ქვეყნის ყველა ელჩები და მინისტრები და ამ დროს იმას წარმოუთქვამს სიტყვა, რომ იმის სურვილი ის იქნებაო, რომ უცხო სახელმწიფოებთან მშვიდობიანად, მეგობრულად იცხოვროს და შინაგ, თავის სახელმწიფოში ძალიანაც [illegible] რეფორმები, რომ ხალხს მომეტებული კეთილდღეობა და თავისუფლება მიენიჭოსო.

— რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“ იწერებიან მცირე აზიიდან, რომ მანისა და დიარბეკირის მაზრებში ჩერქეზებისაგან ძალიან შეწუხებული არიან სომხებიო, ხშირად ხოცვენ იმათ და კიდევ უფრო ხშირად სცარცვენ და აკლებენო.

—„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია სულთანის ირადე (ბრძანება), რომლითაც ის უცხადებს ალბანელებს დაემორჩილონ ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილებას და სუჟისა და პოდგოროცის ჩერნოგორიასთან შეერთებას წინააღმდეგობას ნუ გაუწევენ.

—ამავე გაზეთის სიტყვით, ოსმან-ფაშას მოუგზავნია ჯარები სულთანის სასახლის მახლობლად, იმ განზრახვით, რომ, თუ სტამბოლში ვინიცობაა ხალხის არეულობა მოხდა, ამ ჯარებით დაამშვიდობოთ.

ტელეგრამები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

ჟუთაისი, 27 დეკემბერს. დღევანდელ სხდომაზე ჩვენმა ქალაქის რჩევამ ქალაქის თავად აირჩია უ. ლუკა ნიკოლოზის ძე ასათიანი. 47 ხმაში თეთრი კენჭი მიიღო 42, შავი მხოლოთ 5.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

სტამბოლი, 24 დეკემბერს. სულეიმან-ფაშას გარდაუწყვიტეს სამუდამოთ განდევნა ოსმალეთიდამ და ყველა ჩინების ჩამოხდა.

რუსეთმა გაგასდა რუშელიიდამ ჯარების გამოყვანა, სანამ პოდგორიცის თაობაზე არ მოურიგდება ოსმალეთი ჩერნოგორიას. ოსმალოს კომისარები ჩერნოგორიაში წავიდნენ.

თუნისი, 26 დეკემბერს. საფრანგეთის მმართებლობამ გაუგზავნა თუნისის მმართებლობას დამუქრების ნოტა, რომელშიაც თხოულობს, რომ დაუყოვნებლივ ბოდიში მოითხოვონ საფრანგეთის კონსულის წინაშე და ამ წამსვე დაითხოვონ ის ჩინოვნიკები, რომელთაც ამ კონსულს გრაფ სანსის შეურაცხყოფა მიაყენეს.

[illegible] 26 დეკემბერს. ბაზეთის [illegible] ლონდონის განყოფილებას ტელეგრამმა მოუვიდა ტაშკენტიდამ, რომელშიაც იწერებიან, პოლკოვნიკმა რაზგონოვმა აცნობა თურქისტანის ენ.-ლუბერნატორს ალეუფმანსაო, რომ ის და აელანის ემირი გამოვიდნენ ალბულიდამ და ემირის ჯარები ამ ადგილ რუსის სამზღვარზედ იმყოფებიანო. ენერალმა ალეუფმანმა შეატყობინა ეს ამბავი რუსის მმართებლობას და თან მოსთხოვა ინსტრუქცია (დარიგება) — თუ როგორ მიიღოს იმან აელანის ემირი.

კალკუტა (ინდოეთი), 27 დეკემბერს. ბელუჯისტანის მცხოვრებლებმა წინადადება მისცეს ინგლისელებს, რომ ათასს ცხენოსანს ჯარს გათხოვებთ ომისთვისაო.

დერა, 27 დეკემბერს. იზმაილ-ხანი და ბრიტანიის ჯარები დაეცნენ სულეიმან-ალეში ავაზაკებს და 70 კაცი დახოცეს. ინგლისის ჯარში ცოტაა მოკლული. ამ შემთხვევის გამო, საზღვარზე მშვიდობიანობა დამყარდება.

სტამბოლი, 27 დეკემბერს. ჭაიმილ-ფაშამ და ალი-ბეი სკუტარაში წავიდნენ; ოსმალოს მთავრობამ მიანდო იმათ, წინადადება მისცენ იმ ბაჰმადიანებს, რომელთაც ჩერნოგორიის ხელ-ქვეეთ ყოფნა არა ჰსურთ, რომ ოსმალეთში გადასახლდნენ.

რუსეთსა და ოსმალეთს შუა მოლაპარაკება საბოლოო მორიგების პირობათა შეკვრის თაობაზედ კარგათ მიდის, დაბრკოლება არა არის-რა.

პეტერბურღი, 28 დეკემბერს. მინისტრი ვალუევი ძლიერ ავათ არის.

კალკუტა, 26 დეკემბერს. ხილვაის ტომის მოთავენი ინგლისის მტერობას აცხადებენ.

პეტერბურღის ბირჟა, 28 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის — —	95	75
მეორე — — — — — —	94	50
მესამესი — — — —	94	50
მეოთხესი — — — —	95	„
ალმოსავლეთის პირ. —	94	“
ალმოსავლეთის მეორე —	91	75
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8	38

თფილ. თავად-აზნ. ბანკის
გირაოს ფურცელი — — „ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	237	„
მეორე სესხის — — —	233	5

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23—62	პენსი
ამსტერდამი — —	116—50	ცენტი
ბერლინი — — —	196—50	ფენიგი
პარიჟი — — —	241— „	სანტიმი
კავკასიის კერასინი — „ —	„ —	

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ საცნობელად, რომ ამ ქრისტეშობისთვის 29-ს, გამგეობის თან-დასწრებით დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) იჯარით მიცემაზედ ამ შემოსავლისა, რომელიც ქალაქის პირუტყვის საკლავიდამ აქვს ქალაქს.

ვისაც ამ იჯარის პირობათა დაწერილებით შეტყობა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ქალაქის გამგეობაში დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღეევის 2 საათამდინ.

(3—2)

ჟუთაისში

კ. ძესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) **სიტყვანი და მოკლეთქმანი** — თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) **იგივე**, უკვეთესს ქალალზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) **რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის** (Практическій начальный курсъ рус. языка для грузинъ) — შედგენილი ბ. კ — შვილის მიერ. ფასი — 60 კაპ. ფინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპიკად.

4) **დედა ენა** — ი. ბოგებაშვილისაგან. 50 კ.

5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი.** ფასი — — — — — 50 კაპ.

6) **გუნების კარი** — ი. ბოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) **პატარა გიბლიოთეკა** — იმისიცე — — — — — — 10 —

8) **ლოცვანი**, შედგენილი ძღვ. ლამბაშიძისაგან — — — 20 —

9) **ნინო**, მოთხრობა თ. რაფ. ეროსთვისა — — — — — 15 —

10) **თამარ გატაბნიშვილთ** — დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) **არანკა**, პოემა ბ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) **სამზარეულო**, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) **უარამანიანი** — პირველი ექვსი წიგნი — — — 30 [illegible] და 40 კ.

14) **რძალისმული და მაშენიკები** — კომ. თუთაიესა — — — 30 —

15) **ქართული კალენდრები** 15 —

16) **სახარება** — — — 25 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რეფულები, კარანდაშები, მელანი, ქალალდი, სურათები საქართველოს შეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო სკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, ალუბის ქვეშ.

Декабря 1878 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.

დარჩა ერთი ლუკა ასათიანი, ...
...ეაც კენჭი უნდა ჰკრილიყო. ...
...ც მოიტანეს კოლოფი კენჭის ...
... უ. ნიკოლაძემ გამოაცხადა ...
... შენდა ეკითხოთ უფ. ასათი-...
...ოროობას გვაძლევს თუ არაო ...
...ომ, თუ ვინიცობაა აღმოვირ-...
... დასტოვოს სამოქალაქო სა-...
...ის სამსახურიო, მანამ არ შეა-...
...ანიშნულ ვადასაო, ესე იგი, ...
...ადასაო. ამაზედ უ. ნიკოლა-...
...ებული შენიშვნა მისცა უ. ...
...ალბერიძემ, რომ ნება არა ...
...ანა დაკითხვა მისცეთო. უ. ...
..., ჩვენ კრებას არ სურსო ამ-...
...ხვა მიეცესო, რადგან ჩვენ ...
... აქვს ეჭვიო უ. ასათიანზეო, ...
... დასტოვოს ამ ჩვენი სამოქა-...
...ზოგადოების სამსახური, მანამ ...
...ულდება იმ სამსახურის ვადაო. ...
... ირაკლი ლორთქიფანიძე და ...
:

... მისცა უფალ ბიორგი ლოლა-...
...ება, რომ ლაპარაკობს მთელი ...
...ების სახელითაო? დეე, თვი-...
... წარმოსთქვას თავისი ჰაზრი ...
...კუთარი სახელითა და თავის ...
...

... ყიჭინი..
...ომარემ დარეკა ზარები და ჩა-...
...სიჩუმე.
...ძემ განიმეორა თავისი წარ-...
...ი სიტყვები ქართულათა და ...
...ატა კიდევ ისა, რომ ამას იმი-...
...ულობო, რომ ქალაქში ერთ-...
... მოხდა: ამოირჩიეს ქალაქის ...
...ე. იაზონ თუმანოვიო; რამდე-...
... შემდგომ მიატოვა თავისი ...
...ო, ისე რომ ქალაქის გამგეო-...
...ხნითა დარჩა უ. ელიმირზო-...
...ო, რომელმაც ძალიან უხეი-...
...ვანაო სამოქალაქო საქმეო; ...
... ჩვენ უპრავამი ორი მწეერი ...
...უფალნი ივ. ჯაიანი. ივ. მესხი, ...
...ტებიო, ამის გამო ჩვენ უნ-...
...თ დაიმედოვნებულიო, რომ ...
...ათიანი არ მიატოვებს თავის ...
...ოო ვადის შესრულებამდისინაო. ...
...ული მოსდიოდა და ზოგს ...
...ნ ნიკოლაძის წინადადებაზედ. ...
...-იქა მოისმა ხმა თანხმობისა ...
...ც ნიკოლაძე თხოულობდა. ...
... წამოდგა და აღვიარა თავის ...
...და თანხმობა ემსახუროს ქა-...
...ისს მთელი ერთი წელიწადი, ...
...აც ირჩევა ეხლა ქუთაისის სა-...
... თავი.
...ერა რომ გათავდა, უფალი ...
...თიანი იქმნა აღმორჩეული 42 ...
...აღმდეგ 5 ხმისა.
... დაიხურა.
...ულოცეს უ. ასათიანს ქალა-...
...ბა ჯერ გლასნებმა და შემდეგ ...
...ირებმა.
...ოზაიკულად, უბაასოთ და უდა-...
...ოთ გათავდა ეს ჩვენი პირველი ...
... სამოქალაქო თავის აღმორ-...

... ვიყავით მოსულნი და მათ შორის მეცა საყურებელად და გასაგონებლად; ბევრი რამის გაგონებას მოველოდით; მაგრამ ყველანი დავრჩით მოტყუებულნი.— ასე გაშინჯეთ, სოლომონ ლულაძეც გაჩუმებული იყო.

ეს თითქმის ერთის ხმით აღმორჩევა უფალი ასათიანისა გვაძლევს იმედსა, რომ იგი იხმარებს ყოველივე თავის ღონის-ძიებასა, რომ გაამართლოს სამოქალაქო კრების მინდობილობა და იმედი შესახებ სამოქალაქო საქმეების რიგიანად წარმოებისა.

ბლასნების კრება ისე დაიშალი, რომ ერთს არ წარმოუთქვამს სიტყვა მადლობისა უფ. ნიკო აბაშიძისათვის, რომელმაც ემსახურა სამოქალაქო საზოგადოებასა უმეტეს სამის წლისა...

ნუ თუ მართლა უფ. ნიკო აბაშიძე იყო ისე ულირსი რაიმე მადლობისა გლასნების მხრით მისი სამი წლის სამსახურისათვის? ან თუ ვერ გაბედა ვინმემ გამოთქმა მისთვის მადლობის სიტყვისა რაიმე უხეირო მოაზრების, ანუ იმაზე უფრო უხეირო მორიდების გამო?...

ამ ფიქრებით რომ გამოველ კრების ზალიდამ, იქვე ზალის კარებთან პოლზე ეგდო ქაღალდი, ოთხათ შეკეცილი. ეს ქაღალდი იყო დაწერილი და აი რა ეწერა:

„უფალო ნიკო აბაშიძე!

„მანამ ავდგებით და მოულოცამთ უფალ ასათიანსა ჩვენი კრების გარდაწყვეტილებასა, რომლითაც იგი აღმორჩეულ იქმნა ჩვენ სამოქალაქო თავათა, ჩემი სინიდისი მე მაიალებს წარმოვსთქვა რამდენიმე სიტყვა შესახები თქვენი სამი წლის სამსახურისა ამ ჩვენი ქალაქის საზოგადოებისთვის.

„ამ სამი წლის წინედ თქვენ იყავით დანიშნული მთავრობისაგან აღმასრულებელად ქუთაისის სამოქალაქო თავის თანამდებობისა. და რომ ეს არ ჰყოფილიყო, და ჩვენზე ჰყოფილიყო მონდობილი იმ თავიდგანვე ქალაქის თავის აღმორჩევა, ჩვენ ამოვირჩევდით მაშინ ამ ჩვენ ქალაქის თავათ უფალ ანტონ ლორთქიფანიძეს, რომელზედ უკეთესი მოთავე, ჭკვიანი, პატიოსანი, მშრომელი, მოანგარიშე და ყაირათიანი კაცი არ გვეგონა არავინ მთელ ქუთაისში. და ის ღმერთმა იცის რაც დაგვემართებოდა მისი ამორჩევითა, დაუნიშნამდით რა მას ლოლაბერიძეების რჩევითა ივანე ჯაიანსა და პლატონ ჩხეიძესა ჩვენებათა.

„ღმერთმა შეგვიბრალა და მთავრობამ თითონ დაგვინიშნა თქვენი თავი ამ სამოქალაქო საქმის წარმოებაში ჩვენ წინამძღოლადა...

„ბევრი შრომა და უსიამოვნება გამოიარეთ ამ სამი წლის განმავალობაში. თქვენ შრომას გვიმტკიცებდა ჩვენ თქვენი ნაწარმოები საქმეები, და უფალი სოლომონ ლულაძე, რომელიც ორი წლის განმავალობაში ყოველ დღე უყურებდა თქვენ შრომასა, და შემოგვჩიოლებდა ხოლმე თქვენ საცოდაობასა, და გაჭირებასა, რომ არაფერში არ გშველიდნენ ჩვენი სარწმუნოდ ამორჩეულნი მწავლული კაცები ანტონ ლორთქიფანიძე და ივანე ჯაიანი, და რომ მარტო თქვენ მოთმინებით [illegible] იმ შრომასა, რომელიც [illegible] სამი კაცისათვის!

„ჩვენ ყველანი ჩვენის თვალით ვხედავდით და ვრწმუნდებოდით ყოველ დღე, რომ სოლომონ ლულაძე მართალს გვეუბნებოდა...

„მაგრამ როცა ზოგიერთმა გაბედა და გამოუცხადა თვით კრებაში საყვედური უფ. ანტონ ლორთქიფანიძეს და ივანე ჯაიანს მათ ზარმაცობისთვის,—თქვენ ორივეს გადააფარეთ თქვენი მფარველობის კალთები,—და სთქვით: მათ მაგიერ პასუხს მე ვაგებო.—თქვენ მაშინ ძძიმედ შეცდით.

„თქვენი გულკეთილობა და ამ ორი ზარმაცის გამოსარჩლება დაგირჩათ მომავალ თქვენ სამსახურში ძალიან მავნებლად.—იმათ განაგრძეს თავიანთი ზარმაცობა, და ყოველ თვეში ჯამაგირის სრულად მიღება, ხოლო თქვენ ვეღარ განაგრძეთ თქვენი შრომა იმ ზომით, რომ ყოველივე რამ შესრულებულიყო რიგზედ და ვერ განაგრძეთ ეს მის გამო, რომ ყოველ თვის და ყველაფერში არ შეიძლებოდა ერთ კაცს შეგესრულებინათ სამი კაცის მოვალეობა..

„ამ მიზეზის გამო აიბურდა და დაიბურდა ჩვენი სამოქალაქო საქმე.

„ასე განელო ორმა წელმა და შედგომ ამ ორი წლისა, ოდესაც დავრწმუნდით, რომ სოლომონ ლულაძე მუშაობდა, ცუდათ თუ კარგად, მაინც მუშაობდა, მუშაობდა დღე და ღამე,—ჩვენ ის გამოვცვალეთ და სეკრეტრად დაგინიშნეთ ნიკიფორე ქანდელაკი, კაცი პატიოსანი, მაგრამ ისიც ზარმაცი. როდესაც დავრწმუნდით ივანე ჯაიანის ცულლუტობაში, ხელ-მეორედ აღმოგირჩიეთ ჩვენათ იგივე ჯაიანი; როდესაც ანტონ ლორქიფანიძე თითონ მოგვშორდა, სინიდისმა რომ შეაწუხა, რომ მუქთათ იღებდა სამოქალაქო ფულებიდგან ჯამაგირსა, ჩვენ დაგინიშნეთ მის მაგიერ ბესარიონ ხელთუფლიშვილი, თუმც პატიოსანი და ჭკვიანი კაცი, მაგრამ სნეულობით და დიდის შრომით დაუძლურებული და თითქმის ორივ თვალით ბრმა.

„ასე ამნაირად ამნაირ, კაცებით აგიმსეთ უპრავა, რომელსაც მის გამო დაერქვა სახელად: ქუთაისის სამოწყალო სახლი.

„თითონ ჩვენი მიზეზის გამო საქმე ცუდათ მიდიოდა ჩვენ მაინც არ გიბრალებდით და ხშირად მოგახსენებდით ხოლმე სასტიკ საყვედურებსა, ყველას მაგიერ თქვენა, რომ საქმე ან სულ არ კეთდებოდა და ან რაც კეთდებოდა, სულ ცუდათ კეთდებოდა.

„თქვენ სულ-გრძელობით ისმენდით ყოველ ჩვენ საყვედურსა.

„ჩვენ გლასნები სხდომაში დავიარებოდით და მთელ ჩვენ მზრუნველობას სამოქალაქო საქმეებზედ ვიჩენდით მხოლოდ იმით, რომ უფალ ბიორგი ლოლაბერიძის შემოღებულ სისტემითა წამდა-უწუმ ვნიშნამდით სხვა და სხვა კომისიებსა, და ამ კომისიებით ან სულ

არაფერი არ შესრულებულა დღევანდლამდინ და ან რაც შესრულებულა, არაფერი არ ჰყოფილა ხეირიანად.

„ერთი სიტყვით, ჩვენი საკუთარი გამოუცდელობის, გაუგებლობის დაშეცდომილების გამო, ჩვენი საკუთარი დაუდევრობის გამო, სამოქალაქო საზოგადოების საქმე წავიდა საძაგლად, და რადგანაც გვერცხვინებოდა, რომ მაში ჩვენ გამოტეხილ ვიყავით, მოხერხებულ კაცებმა, რომელნიც ითვლიან თავიანთ თავს კეთილ-სინდისიანებად და ქუთაისის გამაბედნიერებლად, ყოველივე ბრალი მოგხვეს თქვენ თავზედა.—და ყოველივე თავიანთ უზრუნველობას და შეცდომილებას დაარქვეს თქვენი სახელი.

„დღეს თავდება ეს თქვენი ტანჯული სამოქალაქო სამსახური,—მე ჩემის მხრით მადლობას მოგახსენებთ იმ შრომისთვის, რომელიც თქვენ მიგიღიათ სამოქალაქო საზოგადოებისთვის და იმ სულგრძელობისთვის, რომლითაც თქვენი ტანდით ყოველივე ჩვენის მხრით სასტიკ საყვედურებს...

„რაც უწესობა არის დღეს ჩვენს უბრალაში და ჩვენს ქუთაისში, მე ჩემის მხრით ვაღვიარებ, რომ მასში პასუხის მგებლად ვსთველი არა თუ მარტო თქვენა, არამედ ყველას, უფალ ასათიანიდგან დაწყობილი, ვიდრე მეორმოცდა მეთორმეტე გლასნამდი,—რომელთა რიცხვშიდაც გახლავარ მეცა...“

ამ წერილიდგან აშკარად სჩანს, რომ ეს სიტყვა ჰქონია მოამზადებული ვინმე გლასნსა სათქმელად და ანუ წასაკითხად დღევანდელ კრებაში, და სჩანს, რომ იგი დარწმუნებული ყოფილა ასათიანის ამორჩევაში.

ნეტავ რათ არ წარმოსთქვა დამწერმა ეს თავის მოამზადებული სიტყვა, სიტყვა, რომელიც სავსეა ჭეშმარიტებითა?

რას მოერიდა?

ნუ თუ იმას, რომ ამის თაობაზედ არ გამართულ იყო ბასი და ამ ბაასით ცეცხლი არ მიეცა ბიორგი ლოლობერიძესთვის, რომელიც ისე შესჭაოდა იქვე ახლო მჯდომ ნიკოლაძესა, როგორც ძაღლისაგან შეშინებული კატა?..

მართლა და ეს სიტყვა რომ თქმულ იყო, იმ კრებაში პასუხს მისცემდა სოლომონ ლულაძე, იმის სიტყვას მოებმოდა ბიორგი ლოლობერიძე, ამას ჩაფრინდებოდა ნიკოლაძე, ბიორგის გამოუსარჩლდებოდა შალომა იაყობაშვილი და ნიკო ლოლაბერიძე, ამ უკანასკნელს ეძგერებოდა სეტყვიან სიტყვითა ირაკლი ლორთქიფანიძე, აქვე დაიწყებდა ფიშაკების სროლასა ანტონ ლორთქიფანიძე; ჩაერეოდა შიგ პავლე თუმანიშვილიც ნიკოლაძის მისაშველებლად, —და შეიქმნებოდა ერთი ასეთი ბაასი, რომ მეტად გასართობი იქმნებოდა ყველასთვის, ვინცკი მისულნი ვიყავით მხოლოდ გასართობათა.

ქორტი

ქუთაისი, 27 დეკემბერს.

აჭარლები რათ გვიფრთხებიან?

(წერილი რედაქტორთან)

როგორც მრთელ კაცობრიობის ისტორიაში, ეგრეთვე ცალკე-ერძო პირის ცხოვრებაში, ბევრჯერ მოხდება ხოლმე, რომ ერთი უბრალო საგანი, ერთი უბრალო გარემოება დიდის უბედურების ანუ დიდი ბედნიერების მიზეზი ჰხდება...

ჩვენ უნდა მივიდეთ აჭარაში; მაგრამ იმის სანაცვლოდ, რომ ისინი დაგვიხვდნენ სიხარულით, საშინლათ იმჭვალებიან.

ამის მიზეზი რა არის?

აი დღეს უბრალო ლაპარაკმა ერთ აჭარელთან რა დამარწმუნა, რასაც ბევრჯერ ვხედავდი, მაგრამ არაფრად არა ვსთვლიდი.

— სადაური ხარ, ძმაო? ვკითხე ერთ აჭარელს, რომელიც ართაანში მოსულიყო, ხილი ჩამოეტანა გასასყიდათ.

— მე, შენი ჭირიმე, ზედა-აჭარიდამ ვარ.

— რისთვის მოსულხარ, ძმაო?

— ხილი ჩამოვიტანე გასასყიდათ. ფუხარა კაცისა არ მოგეხსენებათ იქიდამ აქანა რაისათვის მოვა?... მაგრამ აქაურობა ერთმა სუამეხმა გემაწვალა. უჰ, ჰუ! რა ადამიანი ყოფილან... ის უპატიურმა ერთი ბათმანი ჭანჭურის ფასი გედიყლაპა, რავარც ქორი წიწილს გადაყლაპავს.. მგე, ბატონო, არაფერი, მაგრამ რჯულ-პირი არ შემარჩინა. აიმე! ქუჩი-კი მემივიდა, ჰამა რა გემეწყობოდა? რა ვქნა? აიმე, რუსუბაა, თორემ იმას ან დამბაჩით, ან ამ ხანჯლით ავკუნწამდი, აიმე!

— რათა, რათა, ძმავ! უბრალო საქმისათვის კაცი რათ უნდა მოჰკლა! ეგრეთი გულმოსულები რათა ხართ? ახლა არ იყოს აგერ, რათ გვეწინააღმდეგებით? ბანა ჩვენი ძმები არა ხართ? ჩვენ თქვენთან საკეთილოთ მოვდივართ, საბოროტეთ ხომ არა!....

— რაისა ბძანებ, ბეტონო?! ქართველები ოლონც მოდით, ვინ გეური არ მიგიღებს! ვიცით რომე ჩვენი ხართ; მარტო იმანი (რჯული) ცალკე გაქვთ... ჰამა სომხები და სხვები რამე მოდიან, იგია ჩვენი დარდი... ჯერ აქანა მუსაფორადსტუმრათ მოვდივართ, ბატონო, ასთე გვიშვრებიან და იქანა რომე მოვიდნენ, სულ დინ-იმანი არ შეგვრჩება, წეველილწებით...

— რად წაგაბილწინებენ? ან რა შეუძლიანთ მაგათა? ბანა მოსამათლეები არ არიან?

— მართალი ბძანებაა, არიან ზაბითები, ჰამა დღეს ჩემს იარას დარმანი—წამალი არ დამიდო და ხვალეც ვერ ქნამს....

ვის არ გინახავსთ—მაღალი, ნაზი ტანის, შავ-თვალ-წარბა, წმინდა ცხვირი, ეიწრო აწკეპილი შალვრით და თეთრი ჩაბალახით—ამაყი აჭარელი?

ის ისე ცქვიტი და მალხაზია, რომ კაცს ეგონება, სიარულის დროს იმისი ფეხები მიწას არ ეკარებაო—ჰაერში ფრინავსო: სიტყვა-პასუხა ისე თავიანი ცქვიტი და ტკბილი, რომ კაცს უებურად მიიზიდავენ...

აჭარელი რამდენიც [illegible] ოსანი, კეთილი და მართალის მექელია, მაგრამ ამასთანავე რამთონიც შეიძლება, თუ მიზეზი მიეცით—ბორიტია.

ეს საზოგადო მთიული ხალხის სასიათია. თავის დროზე ბოროტი, ბაყაც არიან და თავის დროზე კეთილი, სტუმრის მოყვარე და შეთქმის ამსრულებელნიც. სტუმრად რომ მიხვიდე, უბეჯიბე ოქროთი რომ ჰქონდეს საფასე, როგორც გალიაში ბულბულს, შეგინახამენ ძაგრამ, თუ იმის მიზნის გარეთ [illegible] ან შენ არ მოეწონე და შენი ჯიბე მოეწონათ, უნდა აღგიაროთ, მაშინ შენ ფასი და ქათმის ფასი ერთი იქნება. იმიტანში სცემს ძარდათ დიდი და ამაყი გული, საცხე თავის-მოყვარეობითა...

აი ეს თავის თავისა და თავისუფლების მოყვარე კაცი მუდამ როცა გვესტუმრებიან ჩვენ, დამცირებულია—დიფაშვიან და პრტყელ ქამრიან სომხისაგან, რომელიც ერთი გროშისათვის მზათ არის უთვალავჯერ დაიფიცოს და თავისი გაქანილი პატიოსნება დაამცროს...

საწყალი აჭარელი მოდის ორ-სამ დღის სავალზე; ძოაქვს გასასყიდათ ერბო, ყველი, ან ხილი, ჰაიდის სომეხზე, რომელიც იმისთვის, რომ შეიძინოს ორი გროში, მყრალად უგინებს რჯულს, პირს ცოლ-შვილს, უჭრის მოსაცემ ფულს და ბევრჯერაც მოხდება, რომ კიდევაც სცემს.

აჭარელს მოსდის გული, ჯავრით ენას იკენტს; მაგრამ რა ჰქნას? როგორც არის თავს იკავებს, ითმენს. ის ამას არ დარდობს, რომ ფულსა ჰკარგავს, იმისთვის დარდობს და ბრაზდება, რომ წმინდა რჯულს უმცირებენ, თავის-მოყვარეობას შეურაცხყოფენ.

ამ გვარის მძიმე შთაბეჭდილებით ჩვენი მოძმე-სტუმარი ბრუნდება ჩვენგან.

ამის შემდეგ ჩვენ რაღა მასპინძლობას უნდა მოველოდეთ იმათგან? რაღაც უნდა ვემდურებოდეთ, რომ ისინი არ გვწყენარობენ?!..

ახლა ქალაქელ სომხებს მოსდომებიათ იქ ადგილების ყიდვა. ახლა იქაც უნდა ჩაფესვდნენ! თუ მართლა იმათ სურვილი ასრულდა, სატირელი შედეგი მოელისთ აჭარელებს და ქობულელებს.

ს. ბავრელი

ართაანი, 20 დეკემბერს

განცხადებანი

ისყიდება უ. ჩარკეიანის წიგნის მაღაზიაში

„ჰაეროსტატი“

ქამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება

მ. ჯორჯაძისა

ეს ნომერი „დროებისა“ ექვსის გვერდისაგან შესდგება.

Дозволено цензурою. Тифлисъ 30 Декабря 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი